



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 012/14¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი დიანა ზაქარაია

შეკითხვა:

ეთიკის კომისიას მიმართა ადვოკატმა შემდეგი შეკითხვით - ვრცელდება თუ არა კომპანიის იურისტზე სამართალწარმოების დროს ყველა „ეთიკური ნორმა“? თუ პასუხი დადებითია, რა დოზით ვრცელდება? კომპანიის იურისტი, ამავდროულად, მოქმედი ადვოკატია.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 11.1).

ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ 3 მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის. სწორედ ამიტომაც მოქმედია ადვოკატი თუ არა (ახორციელებს ამჟამად საქმიანობას თუ არა), ის ვალდებულია დაიცვას ზემოთ აღნიშნული პროფესიული პრინციპები. გარდა ამისა, ადვოკატზე პროფესიული ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება, თუ იკვეთება სამართლებრივი რჩევის მიცემა, პროფესიული დავალება თუ სხვა არაერთჯერადი დახმარება.

შეკითხვის განმარტებიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს სპეციალიზაციის ხასიათიც ანუ საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის დარგში და ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან-სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი კომპანიას წარმოადგენს პირველ ინსტანციაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, როგორც კომპანიის იურისტი. მოცემულ შემთხვევაშიც ადვოკატი პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის თანახმად ვალდებულია დაიცვას კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების პრინციპი.

რეკომენდაციისას ასევე გათვალისწინებულ იქნა ძირითადი ტენდენცია, როდესაც კომპანია ცდილობს ჰყავდეს თავისი იურისტი და აღარ მოუწიოს კომპანიის გარე იურისტის ძებნა და ითხოვს საადვოკატო საქმიანობის გახორციელების უფლებამოსილების იურისტს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც იურისტზე მოქმედებს ეთიკის ნორმები, ვინაიდან ის არის იურისტთა ასოციაციაში რიცხული ადვოკატი. პროფესიული ეთიკის ნორმები გავრცელდება ასევე შრომითი ხელშეკრულების არსებობისას მაგ. თუ კომპანია უჩივის ადვოკატს ამ შემთხვევაში არსებობს შრომითი ურთიერთობა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებასაც.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fb8704daf9.pdf/08%20January%202015%20012.14.pdf>



კომისია მოცემული საკითხის უკეთ შესაფასებლად ეყრდნობა ასევე ევროპისა და ამერიკის მიდგომებს და გარკვეულწილად იზიარებს მათ მიუხედავად მცირედი განსხვავებისა. აშშ-ის მიდგომის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, კომპანიის იურისტი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები იმ ფარგლებში, რაც შეესაბამება კომპანიის იურისტის როლს. ევროპული მიდგომის თანახმად კომპანიაში არსებობს ეთიკის კოდექსი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ადვოკატის ვალდებულებებისა და კვალიფიციურობის შესახებ. (კონფიდენციალობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა და ა.შ).

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, ემორჩილება კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 1.2). ამასთანავე, განმარტებულია საადვოკატო საქმიანობა, რაც გულისხმობს მესამე პირთა მომსახურებას, იურიდიული დახმარების გაწევას და ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 2). პროფესიული ეთიკის ნორმა ვრცელდება ყველა იმ ადვოკატზე, რომლებიც რიცხულნი არიან ადვოკატთა ერთიან რეესტრში და ახორციელებენ საქმიანობას კომპანიის იურისტად და სხვ. აქედან გამომდინარე, ასოციაციაში რიცხულ ადვოკატზე გავრცელდება პროფესიული ეთიკის ყველა ნორმა.

დასკვნა

კომპანიის იურისტზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუკი იურისტი ირიცხება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში.